ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-0119175393
თარიღი: 24/06/2019
პინი: 6891

ადრესატი: ინა სულხანიშვილი
პირადი ნომერი: 01008002459
მისამართი: თბილისი, ვ.თამარაშვილის ქ. # 3"ა"

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") შემოსული თქვენი 2019 წლის 11 ივნისის #19/01191621965-18 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ გიორგი სულხანიშვილის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, კუმისის შესახვევი #33 ს.კ.: 01.16.06.055.004) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრის/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში მცენარის გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და ვინაიდან მისი მოცულობითი ზომებიდან გამომდინარე გადარგვის შემთხვევაში გახარების ალბათობა მაღალია, სამსახური თანახმაა იმავე საკადასტრო ერთეულში გადაირგას 1 ძირი ხემყრალა (#2-8,5სმ) მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში გადარგვის ნებართვის მისაღებად.

მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

ნებართვის მიმღებმა გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ, უნდა წარმოადგინოს გადარგული ხის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო მასალა.

გადარგული მწვანე ნარგავის 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

ასევე გაცნობებთ, რომ „ქ.თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ორი ძირი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავი (#1 ბროწეული; #3 ვაზი), მისი მოჭრა/გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.

Scanned with CamScanner

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



Scanned with CamScanner